

# ტფილისის მომხმარებელი საზოგადოება „მომაველი“.

სექტემბერი—1911 წ.

ტფილისში დაირსდა მომხმარებელი საზოგადოება „მომაველი“.

ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, რა არის მომხმარებელი საზოგადოება და რა შედეგებს ასეთ საზოგადოებათა დანიშნულებას.

ამის ცოდნა კი საჭირო არის, რადგანაც მომხმარებელი საზოგადოება ყველასათვის სსარგებლო დასებულებაა.

## განსაკუთრებით სასარგებლოა იგი ღარიბ კაცისთვის.

ვინ არ იცის, ვინ არა გრძნობს, რომ ყოველგვარი ადამიანის სახმარი საგნები **საშინლათ გაძვირდა** და რაც დრო მიდის კიდევ უფრო და უფრო ძვირდება. არამც თუ ღარიბს, მუშას, საშუალო შემოსავლის პატრონსაც, მოხელეს, ნოქარს, ბევრ თავისუფალ პროფესიის წარმომადგენელ ინტელიგენტებს—სრულიად აღარ ყოფნისთ დღეს ის მცირე სამუშაო ქირა, თუ ჯამეიერი, რომელსაც ისინი იღებენ.

ოთახს, ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ 7—8 მანეთით რომ იჭირავებდით, ეხლა 15—20 მან. ნაკლებად ევლარ იშვიათი; ხორცი 7—8 კაპიკიდან 15—16 კაპიკამდის ავიდა; გაძვირდა პური, გაძვირდა ტანსაცმელ-ფეხსაცმელი. თანაც **საქონლის საშინელ ფაქტორი** (სოციალურ) იჩინა თავი. გადათვალისწინებთ ყოველდღიურ გაზეთების ქრონიკა და თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენ, ხან ურცხვით და აშკარათ, ხან კი შეუუმნევლათ და ნელ-ნელა გვწამლავენ.

ვერც ქალაქის თვითმართველობის განკარგულებანი, ვერც მთავრობის ზომები, ხანდახან მაკერც, ამის წინააღმდეგ ვერ აღწევენ დანიშნულებას და ვერც მიადწევენ, სანამ თვითონ საზოგადოება არ მიიღებს ზომებს ასეთ უკუღმართობის მოსსპობათ.

ერთი **შეთავრის მიზეზი** ასეთ უწყობისა კი, როგორც მეცნიერები ამბობენ, თანამედროვე ეკონომიკის მოუწყობილობაა.

საქმე ის არის, რომ ყოველგვარი ნაწარმოები, სანამ მომხმარებელს მიიღწევდეს, **რამდენიმე შუამავლის ხელში გამოავლის**; თითოეული შუამავალი კი კლიტობს, რაც შეიძლება მეტი მოიგოს, მეტი „ხეირი“ ნახოს. ამიტომ საქონელი თუ ერთ აბაზათ ღირდა, როცა ქარხნიდან გამოიტანეს, იგი ერთ მანეთით უნდა იყიდოს მომხმარებელმა. ერთი აბაზი წაიღო საქონლის დამზადებელმა, ოთხი აბაზი კი შუამავლებმა.

გარდა ამისა, ამ შუამავლათა, ე. ი. სხვა-და-სხვა გვარ ეაჭართა, რიცხვიც ძლიერ დიდია და იმათი სიმრავლე ბადებს ქიშპობას „კონკურენციას“; ხოლო კონკურენცია თავისთავად იწვევს ბევრ უსარგებლო ხარჯებს: ეს მდიდრული მოწყობილობა სეაჭარობისა, გაიარაღებულნი შუამავანდები, ათასნაირი განცხადებანი, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რასაც **რეკლამას** ეძახიან, აუარებელ ხარჯებს იწვევს და ეს უახრო ხარჯები კი რომლის დანიშნულება მხოლოდ მყიდველის თვალის ახვევაა, საქონელზე ახდენს გავლენას: ან საშინლათ უნდა გააძვიროს იგი ეაჭარმა, ან ხარისხი უნდა გააფუჭოს იმისი—მიმართოს სოცალბეს (ფაქტორი) უამისით ეაჭარი ვერ დაფარავს ხარჯებს, ვერ ნახავს სასურველ მოგებას.

განათლებულ ქვეყნებში დიდი ხანია მიმართეს, სხვათა შორის, ერთი საშვალბას ამ მიზეზების წინააღმდეგ საბრძოლველად: მომხმარებელნი ერთდებიან, ადგენენ ამხანაგობას, საქონელი გამოაქვთ პირდაპირ ქარხნიდან ან ნარდათ მოგაქრისსაგან და მევე ერთმანეთში ინაწილებენ. ასეთ ამხანაგობებს ეძახიან **მომხმარებელ საზოგადოებას**.

მომხმარებელი საზოგადოება ერთი სწორი და ნაკადი საშვალბათაგანი არის საზოგადოების ფართე ნაწილის ნივთიერ მდგომარეობის გასუმჯობესებლად. ამიტომ **ვერობაში** დღეს ევლარ შეხვედებით ისეთს ერთ სოფელს, რომ მომხმარებელი საზოგადოება არ არსებობდეს.

ამ უკანასკნელ დროს **რუსეთშიაც** ბევრი მომხმარებელი საზოგადოება დაარსდა და არა მარტო ქალაქებში, სოფლებშიაც.

აქა-იქ ჩვენებურ სოფლებშიაც კი დაარსეს ასეთი საზოგადოებანი, ხოლო ტფილისი—ცენტრი ჩვენი ქვეყნისა—რომელიც პროვინციას (სოფელს) მაგალითს უნდა აძლევდეს, დღემდის მოკლებული იყო ასეთ დაწესებულებას. დროა, ეხლა მიიწი **ბოლო მოედოს ჩვეულებრივ გულგრილობას**, დროა ჩვენც უსკადლო ისეთ დაწესებულებათა დაარსება, რომელნიც ყველასაგან მტკათ სასარგებლო დაწესებულებათი არიან აღიარებულნი.

აბა დაუკვირდით არსებულ მდგომარეობასა და გულახდილათ სთქვიეთ: საჭიროა თუ არა ტფილისშიც არსებობდეს ყველასათვის ხელმისაწვდომი მომხმარებელი საზოგადოება, არსებობდეს საეკუპრო, რომელშიც შიშველი მყიდველი დარწმუნებული იყოს, რომ უსათუოდ საღს საქონელს მიიღებს, რომ არ მოატყუილებენ არც წონაში, არც ზომაში და სხვ. ერთის სიტყვით, საჭიროა თუ არა ტფილისშიც არსებობდეს საეკუპრო, რომლის **დანიშნულება იქნება მხოლოდ მომხმარებლის, მყიდველის, მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილება** და არა პირადი მოგების ნახვა?

ასეთ დაწესებულებათ კი გახდება საზოგადოება „მომავალი“, თუ იმას მტკს ყურადღებას მიაქცევთ, მტკს ნდობით მოეპყრობით, წერეთ ჩაეწერებით და სხვასაც ჩასწერთ.

წერათ ჩაწერა კი შეუძლია **ყველას**, განურჩევლად სქესისა, წოდებისა, ეროვნებისა, მიმართულებისა, ნივთიერ მდგომარეობისა.

საწევრო გადასახადი ყველასათვის **ხელმისაწვდომია**—პაი ღირს სამი მსთი.

ყველა წევრები **თანასწორის უფლებით** არიან აღჭურვილი.

წევრები ირჩევენ გამგეობას, საეკუპრო დაწესებულების სახეს (ტოპს), ადგენენ წეს-რიგს გამგეობის სახელმძღვანელოთ, ანაწილებენ მოგებას. წევრები არიან სრული პატრონი „საზოგადოებისა“.

მაშ ჩაეწერეთ მომხმარებელ საზოგად. „მომავალში“!

**ჩაეწერე, მუშა, ნოქარი, წვრილო-მომხედე!** ის შეღავათი, რომელსაც მომხმარებელი საზოგადოება მოუტანს წევრებს, შეიძლება ყურადღების ღირსი არ იყოს მდიდრისთვის, მაგრამ თქვენთვის საგრძობი იქნება, როგორც ქონებრივთა, ისე ზნეობრივთაც.

**ჩაეწერე ინტელიგენტო!** ჩაეწერე არა იმტომ მხოლოდ, რომ იგი ნივთიერათ, სასარგებლო იქნება შენთვის, არამედ იმტომაც, რომ აქ იშლება ახალი დარგი მოღვაწეობისა და იმ პრაქტიკით, რომელსაც შენ აქ შეიძენ შეგიძლია შეეცხო თეორეტიული ცოდნა და მით გამოაადე ჩვენს სოფელს, რომელსაც მტკათ ესაჭიროება კოოპერაციო.

**ჩაეწერე შენც, სოფლის მეურნე!** ქალაქის მომხმარებელ საზოგადოებათა ზრდა და განვითარება სახირო იქნება შენთვის, რადგანაც ისინი სოფლის ნაწარმოებსაც გაასაღებენ და ნელ-ნელა ჩამოგაცლიან შენ იმ ათასნაირ ჩარჩა-ბაყაყებს, რომელნიც ერთნაირათ გწუწნიან, როგორც შენ, ისე მომხმარებელსაც.

ჩაეწერეთ ყველამ მომხმარებელ საზოგად. „მომავალში“! ეგ პირველი ცდაა ტფილისში **ყველასათვის ხელმისაწვდომ საზოგადო საეკუპროს დაარსებისა** და თითოეულ ჩვენგანის ნივთიერ დაზმარება, ცოდნა თუ გამოცდილება საჭირო არის ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებისათვის.

## გ ა მ გ ე ო ზ ა

მომხმარებელ საზოგადოების „მომავლისა“.